DOI: 10.52340/PUTK.2022.26.08

ათონის როლი შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში

ROLE OF MOUNT ATHOS IN MEDIEVAL CHRISTENDOM

მაკა კაცაძე
საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
თბილისი. საქართველო

Maka Katsadze
Patriarchate of Georgia Saint King Tamar University
Tbilisi. Georgia

ABSTRACT

In the Middle Ages, a monastery was the most important political and religious-cultural center in Christendom. These spiritual sanctuaries were the flag bearers of the national culture, devoting themselves to the political and cultural life of their country.

Every self-respecting state aspired to have monastic centers beyond their borders. They were a kind of iconic landmark, a representative body, the reputation of the country at an international ecclesiastical level, so the authorities tried to expand their positions in those centers.

Since Egypt and Syria were no longer the centers of monastic life in the East, Constantinople (and later, Athens) acquired such a role. (K. Pavliashvili).

The Sixth World Council of Constantinople in 680 established the Athos Peninsula to be inhabited by monks scattered throughout the Greek archipelago, pursuant to Articles 18 and 42. The Emperor Constantine IV Pogonatus (668-680) approved a decree of the ecumenical council, relieved the monks of their duties imposed by the patriarch and subjected them to royal authority. Since then, Mount Athos has been known as the Republic of Monks.

In the 10th-11th centuries, the monastic life on Mount Athos was well organized. Monks of different nationalities worked here, namely, Greeks, Georgians, Bulgarians, Russians and Serbs. Through the work of these monks, Mount Athos has become a pillar of Christianity.

საკვანძო სიტყვები: სამონასტრო ცენტრები შუა საუკუნეებში, ათონის ქრისტიანული კერები, ქართველები ათონში.
Keywords: Monastic centers in the Middle Ages, Christian centers of Mount Athos, Georgians on Mount Athos.

ბერმონაზვნური ცენტრის გადატანას აღმოსავლეთიდან, კერძოდ, ეგვიპტიდან, სირიიდან და პალესტინიდან დასავლეთით – ათონზე გამოწვეული იყო ამ ქვეყნებში მონოფიზიტური ერესის გავრცელებასა და მუსულმანთა მიერ მათი დაპყრობის გამო.

პირველი ელემენტები ათონზე მონაზვნური საცხოვრებლებისა VIII-IX საუკუნეებში ჩანს. მათ ცენტრალური მმართველობის მცირე სავანეების სახე ჰქონდათ.

X-XI საუკუნეებში ათონზე არსებობდა სხვადასხვა ტიპის მონასტრები, ცენტრალური ადმინისტრაცია. იგი არა მარტო ბერძნული, არამედ სხვა მართლმადიდებელი სახელმწიფოების სულიერების ნავსაყუდელს წარმოადგენდა. ეს ქვეყნები უშუალოდ განიცდიდნენ ბიზანტიის იმპერიის სულიერ და კულტურულ გავლენას. აქ მონასტრები ჰქონდათ: ბერძნებს, ქართველებს, ბულგარელებს, რუსებს და სერბებს.

X საუკუნიდა ათონი ბერძნულ სამონასტრო ცენტრად გადაიქცა. პირველი სავანე იოანე კოლოვუმ დააარსა 870 წელს. ამის შემდეგ სამონასტრო მშენებლობა ფართოდ გაიშალა და ბევრი მნიშვნელოვანი სულიერი სავანე აღმოცენდა. ამიტომ ათონის მთას „მთაწმინდა“ ეწოდა. დიდი მონასტერი პირველად წმინდა ათანასემ დააარსა 963 წელს, რომელსაც „ათანასეს ლავრასაც“ უწოდებდნენ.

ლათინებსაც ჰქონდათ წმ. მარიამ აგათიელის სახელობის მონასტერი, რომელიც, მართალია, ლათინური ტიპიკონისა იყო, მაგრამ კონსტანტინეპოლის პატრიარქის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც დასავლეთის ეკლესია აღმოსავლეთის ეკლესიას გამოეყო (1054), საკმაოდ ადრე ათონის საძმოს თანასწორუფლებიანი წევრები ხდებიან სლავური წარმომავლობის ხალხები: ბულგარელები, რუსები და სერბები. ცხოვრობდნენ რა ისინი ბერძნულ მონასტერში, მათ გაითავისეს სულიერი, საორგანიზაციო და სამეურნეო გამოცდილება მონაზვნური ყოფიერებისა. დროთა განმავლობაში მათ დააარსეს თავიანთი მონასტრები (მღვდელმონაზონი ბასილი).

სლავური გაერთიანებების (საძმოების) დაარსება ათონზე წარმოადგენდა ხანგრძლივ და მრავალეტაპობრივ პროცესს. მათ აქ მოუწიათ გრძელი გზის გავლა, სანამ სოფლური სტილის დასახლებებიდან მონასტრული ცხოვრების ყაიდაზე გადავიდოდნენ. აქედან გამომდინარე, ლოგიკური გაგრძელება იყო საერთო საცხოვრებელი ტიპის მონასტრების წარმოშობა, როგორიცაა: ზოგრაფის, კსილურგის – დიდმოწამე პანტელეიმონის, ხილანდარის მონასტრები. ეს მონასტრები გახდნენ მსხვილი სასულიერო და ეროვნული ცენტრები სლავური მოდგმის ხალხისათვის, რომლებსაც გააჩნდათ უდიდესი სულიერი და კულტურული დანიშნულება სლავური სამყაროსთვის. როგორც შუა საუკუნეებში, ისე მომდევნო ხანაშიც ეს მონასტრები ინარჩუნებდნენ მჭიდრო კავშირს თავიანთ სახელმწიფოებთან: რუსეთთან, ბულგარეთთან, სერბეთთან. ამ ქვეყნის მმართველები ცდილობდნენ მატერიალური და პოლიტიკური მხარდაჭერა გაეწიათ მათთვის, რადგან ამის გარეშე მონასტერი გაკოტრდებოდა და დაცარიელდებოდა. საინტერესო ფაქტია, რომ სლავური მოდგმის

ხალხი ათონზე გამოჩნდნენ უფრო ადრე, ვიდრე ისინი აქ დააარსებდნენ სამონასტრო ცენტრებს. ისეთი სლავური ტომები, როგორებიც იყვნენ სტრიმონტები, რინხინები, დრუგოვიტები, საგუდატები, სისტემატურად იჭრებოდნენ ქალკიდის ნახევარკუნძულზე მაშინ, როცა პარალელურად მათ მიერ ხდებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის კოლონიზაცია. ეს პროცესი გრძელდებოდა VII–IX საუკუნეებში, ბიზანტიის იმპერატორების – ხატმებრძოლ ლეონ ისავრიელისა (675-741) და კონსტანტინე V-ის (718-775) დროს. ამის შედეგად ათონის მთაზე წარმოიქმნა სლავების მჭიდრო დასახლება. აქედან გამომდინარე, ათონზე მოღვაწე მონაზვნებმა მიმართეს ერთადერთ ძალისხმევას, – გავლენა მოეხდინათ „ბარბაროსებზე“ (ურწმუნო სლავებზე). მიზნად დაისახეს გაენათლებინათ ისინი, ესწავლებინათ ბიბლია. წიგნში „историческое слово Афоно Кастомонитского монастыря“ ეპისკოპოსი პორფირე (უსპენსკი) აცხადებს, რომ სლავების ნათლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მათ ცხოვრებაში. ისინი ერწმუნენ ქრისტეს და გახდნენ სრულყოფილი ქრისტიანები, ამის შემდეგ დამორჩილდნენ კონსტანტინეპოლელ მეფეებს (Успенский 1877: 21).

ფრანგი მეცნიერის პ. ლემერლეს აზრით, XI საუკუნის პირველ მესამედში ბიზანტიელებმა შეძლეს აღედგინათ თავიანთი ბატონობა (ხელისუფლება) ამ რეგიონზე. ქალკედონი ათონითურთ შევიდა თესალონიკის ოლქში (თემში) (Lemerle 1945: 124).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ათონელი მონაზვნების მიერ აქ მცხოვრები სლავების ნათლობა წინ უსწრებს ბულგარელებისა და სხვა სლავური მოდგმის ხალხთა ნათლობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (864-865). ეს წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას, როცა ამ ხალხის განმანათლებლობა და ქრისტიანულ ეკლესიასთან ზიარება მოხდა მანამ, სანამ უშუალოდ ბალკანეთის სლავებში იქადაგებდნენ წმინდანი ძმები (სლავების განმანათლებლები) კირილე და მეთოდე. სლავების მიერ ათონის ნახევარკუნძულის კოლონიზაცია ემთხვევა ბულგარეთის პირველი სამეფოს აყვავების ხანას (681-1018). ბულგარეთსა და ბიზანტიას გააფთრებული დაპირისპირება ჰქონდათ მაკედონიისა და სოლუნის გამო. ბულგარელი მმართველების – პრესიანისა (863-882) და სიმეონის (904) მიერ გატარებულმა დაპყრობითმა ბრძოლებმა გამოიწვია მაკედონელ სლავებზე მათი გავლენის მოპოვება. ამას მოჰყვა ამ ტომთა გაერთიანებული ძალით ქალკედონის ნახევარკუნძულზე შეჭრა და აქ ჩასახლება. ამას მოწმობს ათანასე ათონელის ლავრის აქტები. აგრეთვე სხვა წყაროებით მტკიცდება კასანდრასა და ათონზე სლავური დასახლებების არსებობა X–XII საუკუნეებში (Документи... 1965: 2, 5, 6, 21, 22).

რადგან ათონზე უკვე არსებობდა ძლიერი სლავურ-ბულგარული კოლონია, ბიზანტიურ-სლავური კონტაქტები უფრო მჭიდროვდება. იგი მდებარეობდა ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბიზანტიური ციხე-სიმაგრის – იერისონის რაიონში (X ს.). „ზოგრაფისა“ და „ივირონის“ მონასტრების აქტებიდან ჩანს, რომ სლავებს აქ ჰყოლიათ მღვდლები, რომლებსაც გააჩნდათ გლაგოლისტური (ძველი სლავიანური დამწერლობა, მოციქულ კირილესა და მეთოდეს მიერ შექმნილი. ამ

დამწერლობით ბერძნულიდან თარგმნეს ბიბლია, ფსალმუნები და სხვა) დამწერლობა და ასრულებდნენ ღვთისმსახურებას სლავიანურ და ბერძნულ ენებზე (Богданский 1873: 8).

სლავური დასახლებების სიახლოვე ათონის მონასტრებსა და მათ ბინადრებთან გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო. ამან ხელი შეუწყო სლავური მოდგმის ხალხს გაეთავისებინათ მონაზვნური ცხოვრების ტრადიციები და დაეარსებინათ თავიანთი მონასტრები.

X–XI საუკუნეებში ათონზე არსებობდა მონაზონთა მრავალეროვანი ცენტრი. ეჭვგარეშეა, სლავური წარმოშობის ხალხიც ჩაება სულიერი ცხოვრების ფერხულში; მათ მიიღეს გამოცდილება განდეგილური ცხოვრებისა და უპირატესობას ისიხისტური მოღვაწეობის ტრადიციას ანიჭებდნენ. პირველი სლავური მონასტრები, სავარაუდოდ, დაარსდა IX საუკუნის I ნახევარში ან არაუგვიანეს X საუკუნის დასაწყისისა. ესენი წარმოადგენდნენ კელიებს ან კოშკებს, სადაც განმარტოებით ცხოვრობდნენ ბერები.

X–XI საუკუნეებში სლავებმა მონასტერში მმართველობის სისტემის ცენტრალიზაცია მოახდინეს, ანუ, მონასტერში ყველა ემორჩილებოდა იღუმენს. მას ექვემდებარებოდა მცირე მონასტრები (სკიტები). პირველი სლავური სკიტი წარმოიშვა X საუკუნის I ნახევარში. ყველაზე დიდი იყო ბულგარული მონასტერი ზოგრაფი (919) და რუსული სავანე კსილური (1016). ეს მონასტრები და მისი ბინადრები ხდებიან სრულფასოვანი წევრები ათონის მონაზვნური რესპუბლიკისა. მათი უფლებები ოფიციალურად დადგინდა იმპერატორ იოანე ციმისკეს (971-972) და იოანე მონომახის (1046) მიერ. ამას ადასტურებს მონასტრების აქტები.

ათონზე განდეგილური, ისიხიტური ცხოვრების წესი შეიცვალა, როცა ათონზე ათანასე ათონელის იდეამ გაიმარჯვა კოლექტიური მონასტრული ცხოვრების წესის შესახებ. სლავებიც მონასტრული ცხოვრების ამგვარ წესს ემხრობოდნენ. მათ, დასახლებებიდან გამომდინარე, ასეთი ცხოვრების გამოცდილება ჰქონდათ (Каждан 1971: 31).

X-XII საუკუნეებში ათონზე გაძლიერდა სლავური მონასტრები. რუს განდეგილებს გადაეცათ ბერძნებისაგან დაცარიელებული წმ. დიდმოწამე პანტელეიმონის სახელობის მონასტრები (1169), აგრეთვე ყალიბდება სერბული მონასტერი ხილანდარი (1198). ეს ყოველივე ამ ქვეყნების მმართველთა ფინანსური მხარდაჭერით იყო განპირობებული.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ ადრე სლავურ ეთნოსებს შორის ათონზე წამყვანი როლი ბულგარელებსა და რუსებს ეჭირათ, XII საუკუნიდან იზრდებოდა სერბულ-რუსული წარმომადგენლობა. ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის (ბულგართმმუსვრელის) მიერ ბულგარული სახელმწიფოს დაცემის შემდეგ (1018) ზოგრაფის მონასტერი, რომელიც ბულგარელების საკუთრება იყო, დაცარიელდა, ხოლო სერბულ-რუსულ მონასტრებს, პირიქით, აყვავების ხანა დაუდგათ. ეს მონასტრებია: სერბული ხილანდარი და რუსული კსილურგუ, წმ. პანტელეიმონის სახელობის. მათ ზურგს უმაგრებდა სერბეთის ძლიერი სახელმწიფო და დამოუკიდებელი სტაბილური კიევის რუსეთი (Марченко 1999: 208).

ბერძნული და სლავური წარმოშობის ხალხთა მსგავსად, ქართველებსაც, როგორც მართლმადიდებელ ხალხს, გააჩნდათ ამბიცია, ათონის წმ. მთაზე ჰქონოდათ საკუთარი სულიერი სავანე. ერთმორწმუნე ბიზანტიასთან მეზობლობა ერთგვარი გამოწვევა იყო საქართველოსათვის. იგი სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ჩვენს ქვეყანას და იმპერიასთან მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ისე საეკლესიო და კულტურულ-ლიტერატურული.

გადმოცემის მიხედვით, ქართველები ათონზე VIII საუკუნეში ჩასახლდნენ, ხოლო X საუკუნიდან მათი დასახლების პროცესი შეუქცევადი ხდება. პირველი ქართული მონასტერი ათონზე დააარსეს ტაოელმა წარჩინებულმა იოანემ და იოანე თორნიკედ წოდებულმა. ისინი დავით კურაპალატთან (978-1001) დაახლოებული პირები იყვნენ.

თავდაპირველად იოანე „ოთხთა ეკლესიიდან“ (რომელიც სამხრეთ საქართველოში მდებარეობდა) გადავიდა ოლიმპოს მთაზე (ულუმბო) შვილთან – ექვთიმესთან და მოწაფეებთან ერთად, სადაც დაუახლოვდა ჩვენ მიერ ნახსენებ ათანასეს, რომელიც დედით ქართველი (ლაზი) იყო. ათანასემ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ათონზე დააარსა დიდი ლავრა. იოანეც შვილით და მოწაფეებითურთ ათონზე გაემგზავრა სამოღვაწეოდ. მათ მალე იოანე-თორნიკეც შეუერთდა. ქართველთა ძალისხმევით და ათანასეს მხარდაჭერით აშენდა „ივირონის“ მონასტერი.

ამ დიდებულ მოსატერში მოღვაწეობდნენ და წინამძღოლობდნენ: იოანე, მისი ვაჟი ექვთიმე, გიორგი ათონელი და სხვ. მათი მოღვაწეობა ფასდაუდებელია როგორც სულიერი, ისე კულტურულ-ლიტერატურული მიმართულებით. ამ სასულიერო პირების დაუღალავი შრომით „ივირონი“ გახდა ძლიერი და წამყვანი სამონასტრო ცენტრი ათონზე. კორნელი კეკელიძის შეფასებით, „ივირონი“ მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში, ის გადაიქცა წყაროდ, საიდანაც უხვად მოდიოდა ჩვენში ბიზანტიური კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში უაღრესად განვითარდა, ეს „ივერის“ მეოხებითაც. აქ თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთი თანამემამულეთათვის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა ბიზანტიისა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია, აქ, ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურულო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარსულში ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც „ივერს“. უიმისოდ ამ ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (კეკელიძე 1983: 93).

მონასტრის დაარსებას გარკვეულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამაც შეუწყო ხელი; 976 წელს ბიზანტიის სამეფო ოჯახს მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. ქართველთა მეფის დავით კურაპალატისა

და ქართველთა ლაშქრობის დახმარებით, რომელსაც იოანე-თორნიკე ერისთავი მეთაურობდა, ომი ბიზანტიის სამეფო კარმა მოიგო.

ბიზანტიის დედოფალმა ქართველებს მადლიერების ნიშნად დიდი განძი (ძვირფასეულობა) უბოძა. ნაწილი ამ საგანძურიდან „ივირონის“ მშენებლობას მოხმარდა. სავანეს ქართველი მეფე-მთავრებიც სწირავდნენ მიწებს, რათა ეკონომიკურად გაეძლიერებინათ იგი. აქედან გამომდინარე, ქართული მონასტერი სულიერ-კულტურულ და საგანმანათლებლო კერად გადაიქცა ათონზე.

ბერძნებს ყოველთვის თვალი ეჭირათ მონასტრის ხელში ჩასაგდებად. ქართველ ბერ-მონაზვნებს დიდი ბრძოლა სჭირდებოდათ დაეცვათ უცხოელი „მტაცებლებისაგან“ თავიანთი სულიერი სავანე. ქართველი მოწესენი ათონზე გამორჩეულ ადგილს იკავებდნენ სხვადასხვა ეროვნების მოღვაწეთა შორის და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდნენ. „ივირონში“ დაბრძანებული ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომლის სასწაულებრივ მობრძანებას ათონზე გადმოგვცემდნენ ათონელი ბერები, ქართველი ბერის – გაბრიელის ხელით იქნა გადმობრძანებული ზღვიდან, სადაც მან ფეხით გაიარა. გამოცხადებით, ხატმა სწორედ ივერთა მონასტერში ინება დაბრძანება. ეს ხატი წმინდა მთის მფარველად და მბრძანებლად იქცა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ათონი გადაიქცა მართლმადიდებელი ქრისტიანების ნავსაყუდლად. იგი გახდა სულიერი ხიდი ზეცასა და მიწას შორის, სადაც ყველა ეროვნება ერთ ხალხად გაერთიანდა ქრისტეში. სწორედ ამიტომ ათონის სავანეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროში. აქ მოხდა მართლმადიდებელი ქრისტიანული ერების სულიერი, კულტურულ-საგანამანთლებლო მიღწევების წარმოჩენა, შეჯიბრება და ურთიერთგაზიარება. ათონზე ბერმონაზვნურმა ცხოვრებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა და ბიძგი მისცა ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას არა მხოლოდ ტრადიციულ მართლმადიდებლურ ქვეყნებში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც.

გამოყენებული ლიტერატურა

აფციაური 1983: აფციაური ჯ., ათონელ ქართველთა მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხისათვის. „ივირონი“ – 1000. თბილისი, 1983.

კანდელაკი 1980: კანდელაკი გ., ათონი, ჯვარი, პეტრიწონი. თბილისი, 1980.

კეკელიძე 1983: კეკელიძე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან. „ივირონი“ –1000. თბილისი, 1983.

მენაბდე 1982: მენაბდე ლ., ქართული მწერლობის ათასწლოვანი კერა. თბილისი, 1982.

მღვდელმონაზონი ბასილი http://martlmadidebloba.ge/ დამოწმება: 14.07.2022.

პავლიაშვილი 2010: პავლიაშვილი ქ., ქრისტიანობის ისტორია. თბილისი, 2010.

Lemerle 1945: Lemerle P., Philippes et. ta Macedonie orientate a epogue chretienne et Bizantine. Paris, 1945.

Богянский 1873: Богянский О.М., Акм. Зографского монастыря на Афоне 980-981 года. Москва, 1873.

Гарнак 1908: Гарнак А., Монашенство его идеали и его история, Санкт-Петербург, 1908.

Документи... 1965: Документи от Амонсните монастыри-Гцки извори за лагарската история, Т.З. София, 1965.

Каждан 1971: Каждан А.П., Бизантииксий монастырь XI-XIIвв. как социальная группа Бизантийский временник. Москва, 1971.

Казанский 1854: Казанский П., История провословного моношеснтво на востока, I, Монашенство Египте, Москва, 1854.

Марченко 1999: Марченко А.Н., становление и эволюция славянских монастырей на святой Горе Афон в X-XIIвв. Петербург, 1999.